



2022 წლის შემოდგომაზე კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია

მოკლედ მთავარის შესახებ

- პანდემიის ამ ეტაპზე, შვეიცარიაში თითქმის ყველამ გაიარა ვაქცინაცია ან/და გადაიტანა კოვიდ-19-ის დაავადება. ამგვარად თქვენს იმუნურ სისტემას შეეხება ჰქონდა კორონავირუსთან. ადრინდელი ვირუსის ვარიანტებისგან განსხვავებით, დღეს გავრცელებული ვარიანტებით დაინფიცირება არ იწვევს მძიმე ფორმით დაავადებას. აქედან გამომდინარე, 2022 წლის შემოდგომაზე საქმე გვაქვს სხვა ვითარებასთან და შესაბამისად მორგებული უნდა იყოს ვაქცინაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები
- მაღალი რისკის ჯგუფში მყოფ პირებს შეუძლიათ 2022 წლის შემოდგომაზე ჩაიტარონ რევაქცინაცია და ამ გზით დროებით მაინც გააუმჯობესონ დაცვა კოვიდ-19-ის დაავადების მძიმე ფორმისგან. ამგვარად მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირებისთვის რევაქცინაცია განსაკუთრებით რეკომენდებულია.
→ *საინფორმაციო ბუკლეტი მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირებისთვის*
- 2022 წლის შემოდგომაზე რევაქცინაცია უზრუნველყოფს 16 წლის ზემოთ პირების დაბალ და მოკლევადიან დაცვას დაინფიცირების მსუბუქი ფორმებისგან. ამ ჯგუფში შემავალი ვაქცინირებული ადამიანებისთვის მძიმედ დაავადების რისკი ძალიან დაბალია უკვე არსებული დამცავი ეფექტის გამო.

ვისთვის არის რეკომენდებული 2022 წ. შემოდგომაზე რევაქცინაცია?

2022 წლის შემოდგომაზე რევაქცინაცია განსაკუთრებით რეკომენდებულია შემდეგი პირებისთვის:

- 65 წელს ზემოთ პირებისთვის
- ქრონიკული დაავადების მქონე 16 წელს ზემოთ პირებისთვის
- ტრისომია 21-ის მქონე 16 წელს ზემოთ პირები
- ფეხმძიმე ქალებისთვის

2022 წ. შემოდგომაზე ვაქცინაცია ასევე რეკომენდებულია 16 წელს ზემოთ ყველა პირისთვის. რეკომენდაციები განსხვავდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით

| მოსახლეობის ჯგუფი | რეკომენდაცია |
|---|---------------|
| მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირები | +++ მაღალი |
| ჯანდაცვის პერსონალი, მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირები მომვლელი პერსონალი | ++ საშუალო |
| ნებისმიერი პირი 16 - დან - 64 წლამდე | (+) დაბალი |

ვაქცინაცია ასევე რეკომენდებულია ყველა იმ პირისთვის, რომელიც ჯერ არ არის აცრილი კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით.

რას სარგებელს მოუტანს 2022 წლის შემოდგომაზე რევაქცინაცია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს?

- **მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირები**
ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ დაინფიცირების შემთხვევაში ამ ჯგუფის წარმომადგენლებს დაავადება გართულდებათ და ვაქცინის დაცვითი ეფექტიც სავარაუდოდ შემცირდება.

დამატებითი რევაქცინაცია კი გააუმჯობესებს დაცვას დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან მინიმუმ რამოდენიმე თვით. სუსტი იმუნური სისტემის მქონე პირებს (დაავადების ან თერაპიის შედეგი) და 80 წელს ზემოთ პირებს, რომლებიც უკვე აცრილი არიან, შეუძლიათ რევაქცინაციით გააუმჯობესონ დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან დაცვა.

- **ჯანდაცვის პერსონალი, მომვლელი პერსონალი**
ამ ჯგუფში შემავალი ვაქცინირებული პირების შემთხვევაში მძიმედ დაავადების რისკი ძალიან დაბალია უკვე არსებული დამცავი ეფექტის გამო. დამატებითი რევაქცინაცია უზრუნველყოფს დაბალ და მოკლევადიან დაცვას დაინფიცირების მსუბუქი ფორმებისგან. ვირუსის სხვა ადამიანებზე გადაცემის თავიდან აცილება ვაქცინაციის საშუალებით თითქმის შეუძლებელია.
რევაქცინაცია რეკომენდებულია ამ ჯგუფის ყველა იმ წევრისთვის, რომელსაც სურს შეამციროს დაინფიცირების რისკი, რათა გააგრძელოს მაღალი რისკის ჯგუფში მყოფ ადამიანებზე ზრუნვა და უზრუნველყოს მათი ჯანმრთელობის დაცვა.

- **ნებისმიერი პირი 16- დან - 64 წლამდე**
ამ ჯგუფში შემავალი ვაქცინირებული პირების შემთხვევაში მძიმედ დაავადების რისკი ძალიან დაბალია უკვე არსებული დამცავი ეფექტის გამო. დამატებითი რევაქცინაცია უზრუნველყოფს დაბალ და მოკლევადიან დაცვას დაინფიცირების მსუბუქი ფორმებისგან. ვირუსის სხვა ადამიანებზე გადაცემის თავიდან აცილება ვაქცინაციის საშუალებით თითქმის შეუძლებელია.

რევაქცინაცია ხელმისაწვდომია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ შეამცირონ დაინფიცირების რისკი პირადი და/ან პროფესიული მიზეზების გამო.

არ არის რეკომენდებული რევაქცინაცია 16 წლამდე პირებისთვის 2022 წლის შემოდგომაზე, რადგან მოზარდებსა და ბავშვებში კოვიდ-19-ით მძიმედ დაავადების რისკი ძალიან დაბალია. 5 წელს ზემოთ ბავშვებისა და მოზარდების უმრავლესობას აქვს გამომუშავებული ანტიხეულელები კორონავირუსით დაავადების ან ადრეული ვაქცინაციის შედეგად.



როდის უნდა ჩატარდეს რევაქცინაცია?

2022 წლის შემოდგომაზე რევაქცინაცია შესაძლებელია ჩაიტაროთ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ბოლო აცრიდან 4 თვის გასვლის შემდეგ ან ინფექციის დადასტურებიდან 4 თვეში.

ეს ასევე ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც მაღალი რისკის ჯგუფში არიან და რომლებმაც უკვე მეორედ გაიარეს რევაქცინაცია. ამ გზით თქვენ შეგიძლიათ გააუმჯობესოთ თქვენი ინდივიდუალური დაცვა მძიმე დაავადებისგან. ვაქცინაცია სხვა ინაქტივირებული ვაქცინებით (როგორცაა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა) შეიძლება ჩატარდეს პარალელურად ან კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციამდე ან მის შემდეგ.

გაითვალისწინეთ: ვაქცთ მაღალი სიცხე? ავად ხართ და თავს შეუძლოდ გრძნობთ? ამ შემთხვევაში გადაავადეთ ვაქცინაცია.

როგორ მოიქცნენ 16 წელს ზემოთ პირები, რომლებიც ჯერ არ არიან კოვიდ-19 წინააღმდეგ ვაქცინირებული?

პანდემიის ამ ეტაპზე, შვეიცარიაში თითქმის ყველა აუტრელი პირი მინიმუმ ერთხელ დაინფიცირდა კორონავირუსით. მათი იმუნურ სისტემას შესაბამისად შეეხება ჰქონდა კორონავირუსთან. აქედან გამომდინარე, იმ პირებისთვის, რომლებიც მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან რეკომენდებულია ვაქცინის მხოლოდ ერთი დოზა. ამგვარად შესაძლებელია დაცვითი ეფექტის გააუმჯობესება. გარდა ამისა, ასევე დაშვებულია ვაქცინის ორი დოზა 4 კვირიანი შუალედით.

მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირები: იხილეთ [→ საინფორმაციო ბუკლეტი მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პირებისთვის](#)

რომელი ვაქცინა არის რეკომენდებული?

შემოდგომაზე ვაქცინაციის ჩასატარებლად რეკომენდებულია ვარიანტებზე ადაპტირებული (ბივალენტური) მრნა-ვაქცინის გამოყენება ან ნოვავაქსის პროტეინის მრნა-ვაქცინა, თუ ეს ხელმისაწვდომია. ამასთან არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი ვაქცინა იყო გამოყენებული ადრე ჩატარებული აცრების დროს.

2022 წლის შემოდგომაზე მრნა-ვაქცინით (ფაიზერი / ბაიონტეკი ან მოდერნა) ვაქცინაციის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აქამდე არსებული (მონოვალენტური) ისევე როგორც ვარიანტებზე ადაპტირებული (ბივალენტური) მრნა-ვაქცინები. დღეისთვის არსებული მონაცემები უჩვენებენ, რომ მრნა-ვაქცინები ომიკრონის ვარიანტის შემთხვევაშიც უზრუნველყოფენ დაცვას მძიმე დაავადებისა და ჰოსპიტალიზაციისგან.

მნიშვნელოვანია: ფეხმძიმე და მეტუპურმა ქალებმა უნდა ჩაიტარონ ვაქცინაცია მრნა-ვაქცინით (და არა ნოვავაქსის პროტეინის ვაქცინით).

ვინ არ უნდა გაიკეთოს გარკვეული ვაქცინები?

შემდეგი პირებისთვის არ არის რეკომენდებული კოვიდ-19-ის ვაქცინაცია **მრნა-ვაქცინით**:

- პირები, რომლებსაც ვაქცინაში შემავალ რომელიმე ნივთიერების მიმართ დაუდასტურდათ მწვავე ალერგია, მაგალითად პოლიეთილენგლუკოლზე (PEG) ან ტრომეტამინზე (TRIS).

შემდეგი პირებისთვის არ არის რეკომენდებული კოვიდ-19-ის ვაქცინაცია ნოვავაქსის **პროტეინის ვაქცინით**:

- პირები, რომლებსაც ვაქცინაში შემავალ რომელიმე ნივთიერების მიმართ დაუდასტურდათ მწვავე ალერგია, განსაკუთრებით: პოლისორბატ 80, საპონონე, მატრიქს-მ.

ასეთ შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია ალერგოლოგთან. დამატებით ინფორმაცია იხილეთ ჯანდაცვის ფედერალური უწყების გვერდზე (BAG): www.bag-coronavirus.ch/impfung.

არის თუ არა ვაქცინაცია უსაფრთხო?

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უსაფრთხოა შვეიცარიაში ნებისმიერი ვაქცინა საჭიროებს ლიცენზირებას და რეკომენდაციას. ამისათვის ის უსაფრთხოების, ეფექტიანობის და ხარისხის მაღალ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ვაქცინაციის სარგებელი საკმაოდ უნდა აღემატებოდეს რისკებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის რეკომენდებული შვეიცარიაში ვაქცინაცია. სპეციალისტები კვლავაც აკვირდებიან ვაქცინის უსაფრთხოებასა და ეფექტურობას.

შესაძლებელია გვერდითი ეფექტების გამოვლენა?

ნებისმიერი ვაქცინას თან სდევს გვერდითი ეფექტები. ხშირად სიმპტომები მსუბუქად ან საშუალოდ ვლინდება და მალევე ქრება. ვაქცინაციის შემდეგ ხშირად შემდეგი გვერდითი ეფექტები:

- მკლავი, სადაც ვაქცინა გაკეთდა გაწითლებულია, გტკივთ ან შეშუპებულია.
- მოთენთილობა
- თავის ტკივილი
- კუნთების და სახსრების ტკივილი
- ზოგადი სიმპტომები, როგორცაა შემცივნება, სიცხის შეგრძნება ან დაბალი სიცხე
- გულისრევა
- ილღიაში ლიმფური კვანძების შეშუპება ან ტკივილი
- გამონაყარი და ქავილი

მსგავსი რეაქციები იმის მაჩვენებელია, რომ ორგანიზმი ავადმყოფობის წინააღმდეგ დაცვით ფუნქციას გამოიმუშავებს. გვერდითი ეფექტები, როგორც წესი, რამდენიმე დღეში ქრება. ვაქცთ ერთი კვირის შემდეგ გვერდითი ეფექტები? თქვენ იმდგომარეობა უარესდება? ან ნერვიულობთ? ამ შემთხვევაში მიმართეთ თქვენს ექიმს.



სეროზული გვერდითი ეფექტები ძალიან იშვიათად ვლინდება. ის რამდენიმე ადამიანს მძიმე ალერგიული რეაქციით გამოუვლინდა. ალერგიული რეაქცია ვაქცინაციისთანავე ვლინდება ძლიერი შეშუპებით, სიწითლით, ქავილით ან სულის ხუთვებით. ძალიან იშვიათ შემთხვევებში ვაქცინაციიდან 14 დღის განმავლობაში დაფიქსირდა გულის კუნთის ან გულის პერანგის ანთება, რომელიც უმეტესად მსუბუქი ფორმით გამოვლინდა და მკურნალობამ ადვილად ჩაიარა.

გულის კუნთის ანთების ტიპური სიმპტომები როგორცაა ტკივილი გულმკერდის არეში, ქოშინი და აჩქარებული გულისცემა ვლინდება ვაქცინაციიდან 2 კვირის განმავლობაში. მსგავსი სიმპტომების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს ექიმს.

დამატებითი ინფორმაცია

ხარჯები: კოვიდ-19-ის საწინააღმდეგოდ რეკომენდებული ვაქცინაცია თქვენთვის უფასოა.

სად ტარდება ვაქცინაცია: ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად ტარდება ვაქცინაცია, მიიღებთ შემდეგ ვებგვერდზე (www.foph-coronavirus.ch/cantons) ან თქვენი კანტონის საინფორმაციო ცხელ ხაზზე

დამატებითი ინფორმაცია კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით იხილეთ ჯანდაცვის ფედერალური უწყების გვერდზე (FOPH): www.foph-coronavirus.ch/vaccination ან მიმართეთ თქვენს ექიმს. ან მიმართეთ აფთიაქს.

ლინკები:

- როგორ ტარდება კოვიდ-19-ის ვაქცინაცია | [Frequently Asked Questions \(FAQs\) \(admin.ch\)](#)
- ხშირად დასმული კითხვები | [How does the COVID-19 vaccination work? | FOPH \(foph-coronavirus.ch\)](#)

